

სიონალი კალიგრაფის (ადინა კათებ ბოხარის) მიერ გაფორმებული სპარსული ლიტერატურული ტექსტების სტილისტურ-კოდიკოლოგიურ შესწავლას.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ, ტრადიციულად, პოლონელ აღმოსავლეთმცოდნეებს (განსაკუთრებით, კრაკოვის აღმოსავლეთმცოდნობის სკოლის ფუძემდებელს – პროფესორ ფრანტიშეკ მახალსკის და მის მოწაფეებს) ყოველთვის მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტები ჰქონდათ წამყვან ქართველ აღმოსავლეთმცოდნეებთან (აკადემიკოს გიორგი წერეთელთან, აკადემიკოს სერგი ჯიქიასთან, პროფესორ ვლადიმერ ფუთურიძესთან, პროფესორ დავით კობიძესთან, პროფესორ ჯემშიდ გიუნაშვილთან და სხვებთან.) და ამ სკოლის გამომჩინილი წარმომადგენლის – ანა კრასნოვოლსკას ეს საიუბილეო კრებული მეტად საჭირო და საინტერესო იქნება ქართველი სპეციალისტებისთვის.

ელენე გიუნაშვილი
აკადემიკოს გიორგი წერეთლის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

დავით ჩიქოვანი. აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია IV-V საუკუნეებში (კრებათა აქტები და სხვა მასალები). თბილისი: კალმოსანი. 2019. 202 გვ.

აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორია, რომელსაც ასევე სპარსეთის ეკლესიის, სირიულ-სპარსული, ან ნესტორიანული ეკლესიის სახელით იცნობენ, ჩვენში საგანგებო კვლევის საგანი არასდროს გამხდარა. ეს მით უმეტეს გასაკვირია, რადგან შეუძლებელია ქართლის სამეფოს ეკლესიას, რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა სასანურ ირანს, რაიმე სახის კავშირი არ ჰქონოდა ამ მეზობელი ქვეყნის ეკლესიასთან. მართალია, აღნიშნულ თემა წამოჭრილია რამდენიმე ქართველი ავტორის (მ. თარხნიშვილი, გ. მამულია, გ. ყიფიანი) მონოგრაფიებსა თუ სტატიებში, მაგრამ ჩვენში, აქამდე, ეს საკითხი სიღრმისეულად არავის შეუსწავლია.

დავით ჩიქოვანის წიგნი, ამ მხრივ, ერთგვარი გარღვევაა ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში. მისი მთავარი ღირსება კი ისაა, რომ იგი ეფუძნება პირველწყაროებს. მასში პირველად ქართულ ენაზე ქვეყნდება აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა აქტები და ის საეკლესიო კანონთა სია, რომელიც ამ ეკლესიამ შეიწყნარა. კერძოდ, მოცემულია 315, 399, 410, 419/20, 424, 484, 485, 486 და 497 წლე-

ბის კრებათა აქტები. ავტორი სათითაოდ განიხილავს ამ აქტებს და ტექსტში თუ სქოლიოებში მათთან დაკავშირებით თეოლოგიური, ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა სახის მნიშვნელოვან განმარტებებსაც იძლევა. ამავე დროს, ავტორი საკმაოდ კარგად იცნობს და შრომაშიც იყენებს მდიდარ დასავლურ ლიტერატურას აღმოსავლეთის ეკლესიის შესახებ.

პირველწყაროთა შესწავლის საფუძველზე ავტორი რამდენიმე მნიშვნელოვან დასკვნამდე მიდის, რომელთა შორის, ჩემი აზრით, უმთავრესი ქართლის ეკლესიის სპარსეთის ეკლესიაზე დამოკიდებულების თემაა. ავტორის აზრით, 420 წლიდან, ქართლის ეკლესია, ამიერკავკასიის სხვა (სომხეთის და ალბანეთის / არანის) ეკლესიებთან ერთად, აღმოსავლეთის ეკლესიის უშუალო შემადგენლობაში მოექცნენ. ამის არგუმენტად განიხილება 420 წლის კრების აქტები, რომლის თანახმადაც, კრებას ქართლის (გურზანის) ეკლესიის წარმომადგენელი ესწრებოდა. ამავე დროს, ავტორი უარყოფს ანტიოქიის ეკლესიის პრეტენზიებს, ქართლის ეკლესიის (ისევე, როგორც თავად აღმოსავლეთის ეკლესიის) ანტიოქიისადმი დაქვემდებარებაში ყოფნის შესახებ. აღმოსავლეთის ეკლესიაზე ქართლის დაქვემდებარების კიდევ ერთ არგუმენტად ავტორს ჩვენში „კათოლიკოსის“ ტიტულის დაწესებაც ესახება. ამ დაქვემდებარებიდან ქართლის ეკლესიის გამოსვლის საკითხს ავტორი წინამდებარე წიგნში არ ეხება მაგრამ, როგორც ჩემთვის ცნობილია, ის ამ თემას სხვა შრომაში შეეხო. იმედია, რომ აღნიშნული წიგნი მომავალში ერთიანი კომპლექსური კვლევის საფუძველი გახდება ადრექრისტიანული ხანის ქართლის ეკლესიის ისტორიისა და მისი სტატუსის შესახებ.

ჩემი აზრით, მეცნიერის ზემოთ მოყვანილი დასკვნები ყურადღებას უდავოდ იმსახურებს. მაგრამ, პირადად მე უკმარისობის გრძნობა დამიტოვა ერთ-ერთ სქოლიოში გატარებულმა აზრმა იმის შესახებ, თითქოსდა ქართული საისტორიო წყაროების პეტრე კათოლიკოსი (ქართლის პირველი კათოლიკოსი) გამოგონილი პიროვნებაა და მასში სიმბოლურად პეტრე მოციქული უნდა იგულისხმებოდეს, როგორც ეკლესიის თავი. ვფიქრობ, პეტრე კათოლიკოსის პიროვნების რეალურობაში ეჭვის შეტანის სერიოზული საფუძველი არ არსებობს, თუმცა, როგორც ავტორი წერს, აღნიშნულ საკითხზე ის სპეციალურ გამოკვლევას ამზადებს და ჩვენც ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ ამ ახალ ნაშრომს.

მინდა გამოვთქვა კიდევ ერთი მცირე, ორთოგრაფიულ-ტერმინოლოგიური შენიშვნაც: ავტორი უმეტეს შემთხვევაში (როგორც საკუთარ, ასევე ნათარგმნ ტექსტებში, სულ 218-ჯერ) ხმარობს ფორმებს

„კათოლიკოსი“, „საკათოლიკოსო“ მაგრამ რამდენიმე შემთხვევაში (9-ჯერ) გამოყენებული აქვს ფორმები „კათალიკოსი“, „საკათალიკოსო“. აქ არ შევუდგები იმის განხილვას, რომელი ფორმაა სწორი, რადგან დიდი ხანია ესენი პარალელურ ფორმად არის მიჩნეული ქართულში, თუმცა წიგნში მაინც სასურველი იქნებოდა ტერმინოლოგიური ერთგვაროვნების დაცვა, ერთი რომელიმე ფორმის (ჩემი აზრით პირველის) სასარგებლოდ.

საბოლოოდ, მინდა კვლავ აღვნიშნო, რომ დავით ჩიქოვანის წიგნი სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში. აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიის ცოდნა, მის პირველწყაროებთან უშუალო წვდომა ახალ პერსპექტივებს შლის ქართლის ეკლესიის ადრეული ეპოქის და მეზობელი ქვეყნების ეკლესიებთან მისი ურთიერთობების შესასწავლად. ამ საკითხების ძირეულმა ცოდნამ შესაძლოა, ჩვენი ისტორიის მრავალი საინტერესო საკითხი ხელახლა წამოჭრას და ახლებური თვალით დაგვანახოს. მიმაჩნია, რომ ამ ნაშრომით ახალგაზრდა, ნიჭიერმა მეცნიერმა დ. ჩიქოვანმა (ის სოხუმის უნივერსიტეტის დოქტორანტია) ქართულ ჰუმანიტარულ კვლევებში ახალ და მნიშვნელოვან მიმართულებას მისცა დასაბამი და ამ მხრივ, ის ნამდვილად შენაძენია.

ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი
ისტორიის დოქტორი, თავისუფალი მკვლევარი

აბსტრაქტები ABSTRACTS

Studia Litteraria Universitatis Jagellonicae Cracoviensis, Volume 14 (2019), Special Issue. A Volume in Honour of Professor Anna Krasnowolska. Editor-in-Chief: Celina Juda

Anna Krasnowolska is an outstanding Polish Iranologist. She is the author of two monographs and more than 150 scholarly publications. Her comprehensive research work deals with various aspects of the history of pre-Islamic and Modern Iranian literature and culture, including the development and functioning of national mythology, the formation and transformation of the Iranian religious system, Iranian social and aesthetic concepts, and oral and written communication issues.

A collection of papers dedicated to the 70th anniversary of Professor A. Krasnowolska (276 pages) contains 22 thematically miscellaneous articles authored by prominent orientalists from different countries (among them Poland, France, Austria, Sweden, Hungary, England, and the USA). The volume is prefaced by an informative article that describes Anna Krasnowolska's life and work (the author is A. Krasnowolska's disciple, Professor Renata Rusek-Kowalska). It is compiled in three languages: English (pp. 1–4), Polish (pp. 5–7) and Persian (pp. 9–13), and is followed by a list of Anna Krasnowolska's selected scholarly works (pp. 15–24).

It is noteworthy that, traditionally, Polish orientalists (particularly the founder of the Kraków School of Oriental Studies, Professor Franciszek Machalski [1904–1979] and his disciples) have always had close contact with leading Georgian orientalists. The present volume, devoted to the distinguished representative of the Iranian Studies Department of the Jagiellonian Kraków University, will be highly useful and interesting for Georgian scholars.

Helen Giunashvili
Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies

David Chikovani. *A History of Councils of the Church of the East in the 4th-5th Centuries (Acts and Other Material)*. Tbilisi: Kalmosani. 2019. 202 p. (In Georgian)

The history of the Church of the East, also known as the Persian Church, Syro-Iranian or Nestorian Church, has never been a subject of separate research in Georgia. This is surprising, especially because it is impossible for the Church of the Kingdom of Kartli, which directly bordered Sasanian Iran, not to have had some sort of relationship with the Church of a neighbouring country. Although this topic has been mentioned by a few Georgian authors (M. Tarkhnishvili, G. Mamulia, G. Kipiani) in their monographs or articles, it has not yet been fundamentally studied in Georgia.

Therefore, David Chikovani's book is a kind of breakthrough in the humanities in Georgia. Its main value is that it is based on primary sources. It contains acts of the Councils of the Church of the East, and a list of ecclesiastical canons that this Church accepted which were published in Georgian for the first time; namely, the acts of the councils of the years 315, 399, 410, 419/20, 424, 484, 485, 486 and 497. The author discusses all the acts separately, and explains theological, historical, geographical and other important questions regarding them in the text and footnotes. The author is clearly familiar with rich western literature about the Church of the East which he also uses in his work.

Based on the studies of primary sources, the author makes several major conclusions, amongst which, in my opinion, the most important is the one concerning the status of the Georgian Church. The author believes that from 420 AD, the Church of Kartli, together with other South-Caucasian churches (Armenian and Albanian/Arranian), became part of the Church of the East. Acts of the Council of 420 AD, according to which a representative of the Church of Kartli (Gurzan) was present, are shown as an argument supporting this opinion. At the same time, the author denies the claims of the Church of Antioch that the Church of Kartli (as well as Church of the East itself) was under the control of Antioch. The author considers the introduction of the title "Catholicos" in Georgia to be an additional argument in regard to the subordination of Kartli to the Church of the East. In my opinion, the scholar's above mentioned conclusions undoubtedly merit attention. The author does not discuss the topic of the Church of Kartli exiting this subordination in the present book, but as far as I am aware, he has discussed it in his different works. I hope that this book will become a foundation for the future integrated complex research of the history of the Early Christian era Church of Kartli, and its status.

David Chikovani's book is an entirely new statement in Georgian historical studies. The knowledge of the history of Church of the East and direct access to its primary sources provides new perspectives for studies about the Georgian Church and its relations with bordering Churches in the early Chris-

tian era. Diligent studies on these issues might revive many interesting topics in Georgian history and give us an opportunity to see them in a new light. I consider the young and talented scholar D. Chikovani (a PhD student at Sokhumi University) to have given us a new and significant direction in the humanities in Georgia with this book, which, from this author's point of view, is truly an achievement.

Dr. Nikoloz Nikolozishvili

Independent Researcher